ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 70.

ტესტზე სამუშაოდ მოცემულია 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-22 (თითოეული სწორი პასუხი 1 ქულა).

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ.

საილუსტრაციო მასალა დავალებებისათვის № 1-7

(1) **1. რა სახელით არის ცნობილი ფოტოზე აღბეჭდილი არქიტექტურის ნიმუში?**

ა) ღრუბლის კარიბჭე;

ბ) რონშანის კაპელა;

გ) თურქული ვილა;

დ) კასა ბალიო.

(1) **2. სტილისა და ხელწერის მიხედვით დაადგინეთ წარმოდგენილი ნაგებობის არქიტექტორი.**

ა) ფრიდენსრაიხ ჰუნდერტვასერი;

ბ) ანტონი გაუდი;

გ) ლე კორბუზიე;

დ) ფრენკ ლოიდ რაიტი.

(1) 3. გაიაზრეთ ნაგებობის არქიტექტურული სტრუქტურა და მისი დეტალები, ფორმისა და განლაგების მიხედვით. დაადგინეთ, რა დანიშნულება აქვს წარმოდგენილ ნაგებობას?

ა) საცხოვრებელი;

ბ) საკულტო;

გ) მემორიალური;

დ) სამეურნეო.

(1) **4. რა ფორმასთან *<u>არ ასოცირდება</u>* და რა *<u>არ წარმოადგენს</u>* ნაგებობის შექმნის ინსპირაციის წყაროს?**

ა) დოლმენი;

ბ) ნიჟარა;

გ) ბაზილიკა;

დ) აფრა.

(1) **5. არქიტექტურული ფორმის საფუძველზე შექმნილი მხატვრული ხასიათის მიხედვით, მოდერნიზმის რომელ სტილს მიეკუთვნება წარმოდგენილი ნაგებობა?**

ა) კონსტრუქტივიზმს;

ბ) ექსპრესიონიზმს;

გ) ფუტურიზმს;

დ) კუბიზმს.

(1) **6. რომელი დამახასიათებელი თავისებურების საფუძველზე განსაზღვრეთ არქიტექტურული სტილი?**

ა) ტალღოვანფორმებიანი ნაგებობის დეკორატიულობის;

ბ) სიმეტრიული ნაგებობის ეკლექტურობის;

გ) ასიმეტრიული არქიტექტურის მინიმალიზმის;

დ) მონუმენტური არქიტექტურის რაციონალიზმის.

(1) **7. რომელი ფორმულირება *<u>არ შეესაბამება</u>* ინტერიერის მხატვრული გადაწყვეტის საფუძველზე შექმნილ შთაბეჭდილებას?**

ა) ვიტრაჟიანი სარკმელების ასიმეტრიული განაწილება აბსტრაქციული ფერწერის შთაბეჭდილებას ქმნის;

ბ) კედლის სისქეში ძაბრივით დავიწროებული სარკმელებიდან შემოჭრილი ფერადი სინათლე მისტიკურ განწყობილებას ქმნის;

გ) სინათლის ნაკადების მრავალფეროვნება კონტრასტებს ქმნის, დინამიზმის შეგრძნებას აჩენს და ამსუბუქებს ინტერიერს;

დ) გოთიკისთვის დამახასიათებელი სიმსუბუქისა და არქიტექტურული ფორმების „ზესწრაფვის“ ასოციაცია ჩნდება.

საილუსტრაციო მასალა დავალებებისათვის № 8-15

რა არის ის, რაც დღევანდელ სახლებს ასე განსხვავებულს, ასე მიმზიდველს ხდის?

(1) **8. ჩამოთვლილთაგან რომელი *<u>არ არის</u>* პოპ არტის, როგორც მიმდინარეობის, საფუძველი?**

ა) ეპოქის წარმმართველ ძალად ქცეული რეკლამა და სამომხმარებლო ტენდენცია;

ბ) მრეწველობის განვითარება;

გ) კინოსა და ტელევიზიის მიერ ხელოვნურად შექმნილი იდეალების რეკლამირება;

დ) მეორე მსოფლიო ომი.

რა არის ის, რაც დღევანდელ სახლებს ასე განსხვავებულს, ასე მიმზიდველს ხდის?

(1) **9. პოპ არტთან დაკავშირებით რომელი ფორმულირებაა მართებული?**

ა) პოპ არტის ცენტრად ამერიკა იქცა;

ბ) პოპ არტი წარმოიშვა ინგლისში, თუმცა დიდი განვითარება ჰპოვა ამერიკაში;

გ) პოპ არტის ცენტრი ინგლისი იყო;

დ) პოპ არტი წარმოიშვა ამერიკაში, თუმცა დიდი განვითარება ჰპოვა ინგლისში.

(1) 10. ვინ არის წარმოდგენილი ხელოვნების ნიმუშის ავტორი?

ა) როი ლიხტენშტაინი;

ბ) ენდი უორჰოლი;

გ) რიჩარდ ჰამილტონი;

დ) ქლას ოლდენბურგი.

რა არის ის, რაც დღევანდელ სახლებს ასე განსხვავებულს, ასე მიმზიდველს ხდის?

რა არის ის, რაც დღევანდელ სახლებს ასე განსხვავებულს, ასე მიმზიდველს ხდის?

(1) 11. რა *<u>არ არის</u>* ასახული წარმოდგენილ ხელოვნების ნიმუშზე?

ა) პერსონაჟები, ნახევრად ირონიულად, კულტურისტი მამაკაცისა და სარეკლამო პლაკატიდან „გადმოსული“ ქალის ტიპური სახით;

ბ) ბინა, სავსე ფართოდ რეკლამირებული ნივთებით, კედლებზეც, ფერწერული სურათების ნაცვლად, სარეკლამო პლაკატებით;

გ) ოჯახის წევრების ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულება;

დ) 1950-იანი წლების ტიპური ინტერიერი.

რა არის ის, რაც დღევანდელ სახლებს ასე განსხვავებულს, ასე მიმზიდველს ხდის?

(1) **12. ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან რომელი *<u>არ შეესაბამება</u>* სურათზე ასახული თანადროული საზოგადოების სახეს, ინტერესსა და ცხოვრების წესს?**

ა) იმ დროისთვის დადგენილი საყოველთაო სტანდარტისკენ საზოგადოების სწრაფვა;

ბ) ომისგან დასვენებული ხალხის მისწრაფება დოვლათისა და კეთილდღეობისაკენ;

გ) მომხმარებლური საზოგადოების ინტერესი ყიდვა-გაყიდვისადმი;

დ) ტრადიციული მაღალი ღირებულებებისკენ საზოგადოების ლტოლვა.

რა არის ის, რაც დღევანდელ სახლებს ასე განსხვავებულს, ასე მიმზიდველს ხდის?

(1) **13. რომელ მხატვრულ ტექნიკას, საშუალებას და ხერხს იყენებს ავტორი?**

ა) კოლაჟსა და სიმბოლურ-ალეგორიულ ელემენტებს;

ბ) აპლიკაციასა და მკვეთრ კონტრასტებს;

გ) დეკუპაჟსა და ასიმეტრიულ ბალანსს;

დ) ასამბლაჟსა და მრავალფეროვან მკვეთრ ფაქტურებს.

რა არის ის, რაც დღევანდელ სახლებს ასე განსხვავებულს, ასე მიმზიდველს ხდის?

(1) **14. რა იდეის მატარებელია წარმოდგენილი ნამუშევარი?**

ა) ცხოვრებისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება ირონიასა და წინააღმდეგობას იმსახურებს;

ბ) იაფფასიანი ტექნოლოგია მაღალ ხელოვნებას არ უნდა ქმნიდეს;

გ) ხელოვნება მასების ენით არ უნდა საუბრობდეს;

დ) სტერეოტიპებით ცხოვრება სოციალურ თანასწორობას ბუნდოვანს ხდის.

.

რა არის ის, რაც დღევანდელ სახლებს ასე განსხვავებულს, ასე მიმზიდველს ხდის?

(1) **15. რომელი მხატვრული თავისებურებები *<u>არ ახასიათებს</u>* წარმოდგენილ ნიმუშს?**

ა) რეალობის ასახვა და ფიგურატიული გამოსახულებები;

ბ) „პიქსელებიანი“ ფაქტურა და აბსტრაქტული აზროვნება;

გ) განზოგადება და გამოხატვის ინდივიდუალურობა;

დ) ძირითადის აქცენტირება და მეტაფორული აზროვნება.

საილუსტრაციო მასალა დავალებებისათვის №16-22



(1) **16.** სად არის აღმოჩენილი წარმოდგენილი ქანდაკება?

ა) არმაზში;

ბ) ვანში;

გ) ნოქალაქევში;

დ) საირხეში.



(1) **17. დააკვირდით ქანდაკების აგების და მოდელირების თავისებურებას. განსაზღვრეთ, რომელი პერიოდის ქანდაკებაა წარმოდგენილი?**

ა) ძვ. წ. II ათასწლეულის;

ბ) ძვ. წ. VII-VI საუკუნეების;

გ) ძვ. წ. II-I საუკუნეების;

დ) ახ. წ. II-III საუკუნეების.



(1) **18. რა მასალაშია შესრულებული წარმოდგენილი ნიმუში?**

ა) ბრინჯაოში;

ბ) რკინაში;

გ) ქვაში;

დ) თიხაში.



(1) **19. რომელი გარეგნული მახასიათებელი *<u>არ შეესაბამება</u>* წარმოდგენილ ქანდაკებას?**

ა) წელში გამართულია;

ბ) ფრონტალურად აღსაქმელია;

გ) კონტრაპოსტის პოზაშია;

დ) მკაცრად სტატიკურია.



(1) **20. რომელი მხატვრული მახასიათებელი *<u>არ ასახავს</u>* ქანდაკების თავისებურებას?**

ა) ჭაბუკის ფიგურა მოდელირებულია ანატომიის ცოდნის საფუძველზე;

ბ) კუნთებსა და სხეულის ნაწილებს შორის მკვეთრი ზღვარი სხეულის ზედაპირზე ჩრდილის ზოლებს აჩენს, რაც შუქ-ჩრდილის თამაშს განსაზღვრავს;

გ) გამოსახულებას მონუმენტურობას სძენს ზედმიწევნითი დეტალიზაცია;

დ) სხეულის ნაწილების თანაფარდობით ათლეტის კლასიკურად სრულყოფილი, ჰარმონიული, გაწონასწორებული სხეული იქმნება.

.



(1) **21. რომელი დახასიათება *<u>არ გამოხატავს</u>* ჭაბუკის ტორსის თავისებურებას?**

ა) სხეულის ფორმები დაჭიმული და მკვეთრია;

ბ) ფიგურა სრულყოფილად იკითხება ხედვის ერთი წერტილიდან;

გ) ქანდაკება ბერძნული მაღალი კლასიკის ადრეულ ნიმუშებთან სიახლოვეს ამჟღავნებს;

დ) მოცულობათა და შუქ-ჩრდილის მონაცვლეობა სიმსუბუქეს სძენს ჭაბუკის სხეულს.



(1) **22. რომელი ფორმულირებაა ქანდაკების შესაბამისი?**

ა) ქანდაკების თარიღის დადგენა გაძნელდა;

ბ) ქანდაკების ავტორი ახალბედა ოსტატი უნდა ყოფილიყო;

გ) ძნელია იმის თქმა, ვინ არის გამოსახული ათლეტის სხეულით;

დ) ჭაბუკის ტორსი მსოფლიო საზოგადოების გამოხატული ინტერესით არ გამოირჩევა.

დავალებები № 23-29. წინადადების შევსება

ინსტრუქცია: დავალებებში მოცემულია წინადადებები, რომლებშიც ერთი ან რამდენიმე სიტყვაა გამოტოვებული. ცარიელი ადგილები წინადადებაში ხაზებითაა აღნიშნული. წინადადება სიტყვებით ისე უნდა შეივსოს, რომ აზრობრივად გამართული, ჭეშმარიტი მტკიცებულება მივიღოთ.

ნიმუში: სახვითი ხელოვნების ელემენტს, რომელიც გამოსახულების ზედაპირის თავისებურებას გამოხატავს, *ფაქტურა* ეწოდება.

(1) **23.** რაიმე მოვლენის სამახსოვროდ ან პიროვნების პატივსაცემად შექმნილი ქვის ფილა წარწერით და რელიეფური გამოსახულებით არის, _____ _____.

(1) **24.** კარავაჯო, კომპოზიციებში დრამატიზმის შესაქმნელად, _____ განათებას იყენებს.

(1) 25. ძველ რომში მოქალაქის სტატუსის მქონე მამაკაცის განსხვავებული დიზაინის სამოსს, რომელიც მის საზოგადოებრივ მდგომარეობას უსვამდა ხაზს, _____ ეწოდება.

(1) **26.** შენობის შიდა სივრცეს _____ ეწოდება.

(1) **27.** სტატიკა, დინამიკა, პროპორცია, მასშტაბი, პერსპექტივა სახვითი ხელოვნების _____.

(1) **28.** გამოსახულებას ეწოდება _____, თუ მასში სხვადასხვა ფერის ტონებია გამოყენებული.

(1) **29. ბიბლიაში კრავი _____ სიმბოლოა.**

დავალება № 30 - 37. „ჭეშმარიტია-მცდარია“

ინსტრუქცია: შეაფასეთ ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული მტკიცებულება და მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. თუ მიიჩნევთ, რომ მტკიცებულება მცდარია, **საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ მცდარად შეფასებული მტკიცებულების სწორი ფორმულირება. მხოლოდ მცდარის შესაბამისი უჯრის მონიშვნის შემთხვევაში პასუხი სწორად არ ჩაითვლება.**

შენიშვნა: თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისათვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.



(1) 30. ნიღბისმაგვარ სკულპტურულ დეკორს არ-ნუვოს, ასევე სხვადასხვა სტილის არქიტექტურულ ნაგებობებზე, მასკარონი ეწოდება.

(1) 31. ეკლექტურია ხელოვნების ნიმუში, თუ სხვადასხვა სტილის თავისებურებების ნაზავს წარმოადგენს.

(1) **32.** იდეის ან აზრის არაპირდაპირ, ქვეტექსტით, შეფარულად გამოხატვის ხერხს სფუმატო ეწოდება.

(1) 33. აბზაცის საწყის, დიდი ზომის დეკორატიულ ასოებს საზედაოს უწოდებენ.

(1) **34.** წარმოდგენილი ნაგებობა კლასიციზმის ტიპური ნიმუშია.

(1) 35. არქაიკის პერიოდის ქანდაკებები ყოველი მხრიდან დათვალიერებას მოითხოვს.

(1) **36.** კაზიმირ მალევიჩის მიერ *შავი კვადრატიდან* ახალი, გეომეტრიული, სუპრემატისტული მიმართულება იღებს სათავეს, სადაც ფერადი გეომეტრიული სიბრტყეებით იქმნება აბსტრაქციული გამოსახულება.

(1) 37. *მაღალი კლასიკა* ეწოდება ძველი რომის ხელოვნების პერიოდს, რომელიც რომის რესპუბლიკის ხანაში ჩაისახა და ქრისტიანობის გავრცელებამდე განვითარდა.

(6) **დავალება № 38. დაადგინეთ შესაბამისობა**

ინსტრუქცია - სურათზე წარმოდგენილი ფერწერული ნამუშევრის შესაქმნელად გამოყენებულია სახვითი საშუალებები და ხერხები, რომელთა დასახელებები მოცემულია ჩამონათვალში:

ა. თავშეყრის წერტილი;
ბ. განათება;
გ. ათინათი;
დ. გრადაცია;
ე. ჩრდილი;
ვ. დაცემული ჩრდილი;
ზ. კონტური;
თ. დრაპირება.

ჩამონათვალში სახვითი ხელოვნების საშუალებებისა და ხერხების 8 (რვა) დასახელებაა მოცემული. 6 (ექვსი) მათგანი მითითებულია სურათზე. შეუსაბამეთ ჩამონათვალს სურათზე მითითებული მხატვრული საშუალებებისა და ხერხების აღმნიშვნელი რიცხვები და შესაბამისი უჯრები პასუხების ცხრილში X-ით მონიშნეთ. პასუხები გადაიტანეთ პასუხების ფურცელზე.

წერითი დავალებების ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით დავალებებს და გაიაზრეთ ისინი.
ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, არ გასწორდება და შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

ოთხივე წერით დავალებას თან ახლავს მითითებები. ამ მითითებებს უნდა უპასუხოთ ისე, რომ ნაშრომი აზრობრივად ერთიანი, მთლიანი გამოვიდეს და არ იყოს კითხვებზე ცალ-ცალკე გაცემული პასუხების მექანიკური ჯამი.

ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად. ნაშრომი შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ჩანს მასში არგუმენტირებისა (საკუთარი მოსაზრებების მაგალითებით დასაბუთების) და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული, აზრი - გასაგებად გამოხატული. გადაიტანეთ ნაშრომი პასუხების ფურცელზე.

პასუხების ფურცელში დაშვებული შეცდომა გადახაზეთ, ფრჩხილებში ნუ ჩასვამთ და ნურც დაჯღაბნით.

(4) **დავალება № 39**. გამოთქვით ვარაუდი, რას განასახიერებს წარმოდგენილი ნიმუში? მიაკუთვნეთ წარმოდგენილი ნიმუში გარკვეულ მხატვრულ ეპოქას/კულტურას. დაახასიათეთ გამოსახულება და ყურადღება გაამახვილეთ ძირითად მხატვრულ საშუალებებზე და ხერხებზე. თქვენი მოსაზრება გაამყარეთ არგუმენტებით.

შეასრულეთ წერითი დავალება შემდეგი მითითებების მიხედვით:

1. ამოიცანით წარმოდგენილი სცენა;
2. გააანალიზეთ ნაწარმოების მხატვრული თავისებურებები;
3. თქვენ მიერ გაანალიზებული სახვითი საშუალებების მიხედვით მიაკუთვნეთ ნაწარმოები მხატვრულ ეპოქას/კულტურას;
4. იმსჯელეთ ნაწარმოების შინაარსობრივ და ვიზუალურ შესაბამისობაზე.

(4) **დავალება № 40.** რომელი სტილის/ეპოქის არქიტექტურის ნიმუშია წარმოდგენილი ფოტოზე?

- წარმოაჩინეთ თქვენ მიერ დასახელებული სტილის/ეპოქის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნები;
- გააანალიზეთ წარმოდგენილი ნაგებობის არქიტექტურული თავისებურებები და განსაზღვრეთ თქვენ მიერ დასახელებულ სტილთან/ეპოქასთან მისი მიმართება;
- დაადგინეთ წარმოდგენილი არქიტექტურული ნაგებობის შექმნის ისტორიული პერიოდი.

(4) **დავალება № 41.** შეადარეთ ხელოვნების ნიმუშები და დაადგინეთ: რომელ ეპოქათა მხატვრობაა წარმოდგენილი? რა მხატვრული თავისებურებები გაძლევთ თქვენი ვარაუდის საფუძველს? იმსჯელეთ ეპოქათა შორის გავლენასა თუ მსგავსებაზე; რა ტენდენციაა აღსანიშნავი?

(15) **დავალება 42.** გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული რეპროდუქციები და მითითებების 4 (ოთხი) პუნქტის მიხედვით შეასრულეთ დავალება. **შეადარეთ სურათები**

1. ლეონარდო და ვინჩი. მოხუცის პროფილი. 1505 წ.

2. სერგო ქობულაძე. დანტე ალიგიერი. 1944 წ.

(5) 42.1. დააკვირდით წარმოდგენილ ნიმუშებს და დაახასიათეთ ისინი:

ხელოვნების რომელი დარგისა და ჟანრის ნიმუშებია წარმოდგენილი? გააანალიზეთ წარმოდგენილი ნაწარმოებები - რომელი სახვითი საშუალებები და სახვითი ხერხებია ავტორების მიერ გამოყენებული მხატვრული სახის ხასიათის შესაქმნელად?

1. ლეონარდო და ვინჩი. მოხუცის პროფილი. 1505 წ.

2. სერგო ქობულაძე. დანტე ალიგიერი. 1944 წ.

(4) 42.2. ხელოვნების თითოეული ნიმუში სტილური მახასიათებლების მიხედვით მიაკუთვნეთ მხატვრულ ეპოქას;
იმსჯელეთ ნაწარმოებების მსგავსებასა და განსხვავებაზე; როგორია ლეონარდო და ვინჩისა და სერგო ქობულაძის მხატვრული მეთოდი? იმსჯელეთ მხატვრული სახის ხასიათისა და სახვითი ენის შესაბამისობაზე.

1. ლეონარდო და ვინჩი. მოხუცის პროფილი. 1505 წ.

2. სერგო ქობულაძე. დანტე ალიგიერი. 1944 წ.

(4) 42.3. იმსჯელეთ, ახდენს თუ არა გავლენას ისტორიულ-კულტურული თავისებურებები ხელოვნების განვითარებაზე; იმსჯელეთ გავლენებზე თითოეულ ნაწარმოებთან მიმართებაში;

(2) 42.4. გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება ხელოვნების ნიმუშების მიმართ, დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.